

ბრიფინგი ჟურნალისტებისთვის:

**კლიმატის ცვლილებასა
და ენერგეტიკასთან
დაკავშირებული მითების
გაქარნელება**

კლიმატის ცვლილებასა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული მითების გაქარწყლება



დოკუმენტის მიზანი:

ეს ბრიფინგი მიმოიხილავს ყველაზე გავრცელებულ მითებს ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების შესახებ და მათ ფაქტებს უპირისპირებს.

კონტექსტი:

„ხშირად ტყუილი თავის საქმეს მაშინაც კი აკეთებს, როცა მას მხოლოდ ერთი საათით იჯერებენ და შემდეგ ქრება. ტყუილი დაფრინავს, სიმართლე კი კოჭლობით მისდევს.“

ჯონათან სვიფტი, სატირიკოსი, მწერალი და ჟურნალისტი, 1710

ყალბი ინფორმაცია, დეზინფორმაცია, ფაქტების დამახინჯება, ტყუილი: ბევრი რამ შეგვიძლია ვუწოდოთ იმ მოვლენას, რომ მსჯელობა კლიმატის ცვლილებისა და ენერგეტიკული გარდაქმნის შესახებ სავსეა მითებითა და ნახევრად-სიმართლეებით. ნაწილობრივ, ეს საკითხის კომპლექსურობის და მასში შემავალი მრავალი ნიუანსის ბრალია, ნაწილობრივ კი იმის, რომ ფაქტების დამახინჯება გარკვეული ჯგუფების ინტერესში შედის.

ჟურნალისტები, ხანდახან, ცრუ ინფორმაციის მსხვერპლნი ხდებიან. ხშირად, რეპორტაჟის მოსამზადებლად ცოტა დრო გვაქვს, სამეცნიერო საფუძვლებში გარკვევა კი რთულია; ინტერნეტ წყაროებზე დამყარებულ კვლევაში შეიძლება ბევრი ყალბი ინფორმაცია აღმოჩნდეს; შეიძლება მიუკერძოებელი ექსპერტის მოძიება გაჭირდეს; გარკვეულმა დაინტერესებულმა ჯგუფებმა (მათ შორის, შესაძლოა, უშუალოდ მედიის მფლობელიც იყოს) შეიძლება გაშუქება ფაქტებს მიზანმიმართულად დააშორონ. ცხადია, საზოგადოებრივი ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მითები, მცდარი რწმენა, ყალბი ინფორმაცია და ტყუილები არ გავრცელდეს. გრძელვადიან პერსპექტივაში ზუსტი ფაქტების დადგენა მედიისა და ჟურნალისტის ინტერესშიც შედის, რადგან ნდობის ჩამოყალიბებას სწორედ ეს სჭირდება.

ამ ბრიფინგში ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ფართოდ გავრცელებულ მითს კლიმატის ცვლილებისა და სუფთა ენერჯიაზე გადასვლის შესახებ, და მათ რეალობას დავუპირისპირებთ.

1 | მითი:

კლიმატის ცვლილებას კაცობრიობა არ იწვევს, ის ბუნებრივი მოვლენაა.

რეალობა:

დედამიწის ისტორიაში კლიმატი ყოველთვის იცვლებოდა. თუმცა [აშკარაა](#), რომ კლიმატის ცვლილება, რომელსაც დღეს ვხედავთ, უმეტესწილად კაცობრიობის მიერ სათბური გაზების ატმოსფეროში გაფრქვევას უკავშირდება. მეცნიერება მიუთითებს, რომ ადამიანის ზეგავლენა [სრულადაა პასუხისმგებელი კლიმატის ცვლილებაზე, რომელსაც დღეს ვამჩნევთ.](#)

არსებობს ამ ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებათა ორი ძირითადი ჯგუფი: 1) ყველა ბუნებრივი ფაქტორის ჯამური ზეგავლენა - მათ შორის ვულკანური ამოფრქვევების და მზის ცვალებადობის ზეგავლენა - ზედმეტად მცირეა იმისთვის, რომ კლიმატს ამდენად და ასე სწრაფად ცვლიდეს. შესაბამისად, ბუნებრივი პროცესებით კლიმატის მიმდინარე დათბობა ვერ აიხსნება. 2) კომპიუტერული მოდელები გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სათბური გაზების და ადამიანთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების ზემოქმედება საკმარისია იმ ცვლილებების ასახსნელად, რომლებსაც დღეს ვხედავთ.

2 | მითი:

კლიმატის ცვლილების შეჩერება შეუძლებელია, ჩვენ მხოლოდ მის შედეგებთან ადაპტაცია გვმართებს

რეალობა:

კლიმატი დღეს გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება - გარკვეული გამოთვლების მიხედვით [100-ჯერ უფრო სწრაფადაც კი](#) - ვიდრე ოდესმე დედამიწის ისტორიაში. ეს ადაპტაციას უკიდურესად ართულებს, როგორც ადამიანებისთვის, ისე ბუნებისთვის.

კლიმატის ცვლილების იმ შედეგების სია, რომლებთან გამკლავებაც [„ადაპტაციის ჩვენს უნარს“](#) აღემატება, უფრო და უფრო იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ზემოქმედებასთან ადაპტაციის გზა ან საერთოდ არ არსებობს - როგორც არ არსებობს, მაგალითად, პატარა კუნძულის ზღვის დონის მატებისგან ან მთლიანად გლობალური ოკეანის გამჟავიანებისგან დაცვის გზა - ან ის ძალიან ძვირი და რთულია - იმდენად ძვირი, რომ ის საზოგადოების გადახდისუნარიანობას აღემატება. რაც უფრო მეტად შეიცვლება კლიმატი, მით უფრო მეტი პრობლემა გასცდება ადაპტაციის შესაძლებლობებს.

ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ სათბური გაზების ემისიები იზრდება, ბოლო რამდენიმე ათწლეულია [ზრდის ტემპი მცირდება](#), რაც იმაზე მეტყველებს, რომ კლიმატის ცვლილებასთან და სუფთა ენერჯისთან დაკავშირებული პოლიტიკა მუშაობს. გვაქვს ამის სხვა მაგალითებიც. 2022 წლის პირველ ნახევარში, განახლებადი ენერჯიების წარმოების ზრდამ [მთლიანად დააკმაყოფილა ელექტროენერჯის გლობალური მოთხოვნის ზრდა](#). ელექტრო მანქანების მზარდი გავრცელება უკვე 1.5 მილიონი ბარელით [ამცირებს ყოველდღიურ გლობალურ მოთხოვნას ნავთობზე](#) (ანუ დაახლოებით 1.5 პროცენტით). ეს ტრენდები იმაზე მიუთითებს, რომ კლიმატის ცვლილების შეჩერება, ან მისი შენელება მანც, სავსებით შესაძლებელია.

3 | მითი:

კლიმატის ცვლილება დადებითად იმოქმედებს ცივ ქვეყნებზე

რეალობა:

სავარაუდოა, რომ კლიმატის ცვლილება გარკვეულ სარგებელს მოუტანს ისეთ ქვეყნებს, როგორც რუსეთი და კანადა. მაგალითად, კლიმატის ცვლილების შედეგად შესაძლოა [შესაძლებელი გახდეს მარცვლეულის მოყვანა უფრო ჩრდილოეთით](#), ან გაადვილდეს მინერალური რესურსების ათვისება და ვაჭრობა ოკეანის გავლით.

თუმცა ამ სარგებელს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა თუ მიიღებს, და მას ადგილობრივი და გლობალური უარყოფითი ზემოქმედება გააბათილებს. მაგალითად, ინფრასტრუქტურა, რომელიც მრავალწლოვან მზრალობაზეა აგებული, განადგურების უფრო მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდება. მთის თოვლი გაქრება, რაც წყლის მარაგებსა და ტურიზმზე აისახება. ეკოსისტემები, მათ შორის მარცვლოვანი კულტურა, ეკოლოგიური რღვევის საფრთხის წინაშე დადგება, და ტყის ხანძრის რისკი გაიზრდება. ზემოქმედება მსოფლიოს სხვა ნაწილებზე იმპორტსა და მიგრაციის ტენდენციებზეც იმოქმედებს.

4 | მითი:

შუქლებელია რომელიმე ცალკეულ მეტეოროლოგიურ მოვლენაზე ითქვას, რომ ის კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია

რეალობა:

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ბუნდოვანება მნიშვნელოვანია გავცდეთ „მიზეზ-შედეგობრიობის“ ენას.

2003 წლიდან მეცნიერები რეგულარულად სწავლობენ ცალკეულ ექსტრემალურ მეტეოროლოგიურ მოვლენებს, მათ შორის თბურ ტალღებს, გვალვებს, ქარიშხლებს, ცივ პერიოდებს და წყალდიდობებს. კითხვა, რომელსაც ისინი სვამენ, ეხება იმას, თუ რამდენად გაზარდა კლიმატის ცვლილებამ ამ მოვლენების ალბათობა, ან რამდენად გააუარესა მან ეს კატასტროფები. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას „მოვლენის მიკუთვნების“ (event attribution) ტექნიკით ცდილობენ, რაც ისტორიულ მონაცემებსა და კომპიუტერულ მოდელებს ეყრდნობა.

კლიმატის ცვლილებას უკავშირდება დღემდე მომხდარი [ასობით ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენა](#). რამდენიმე მაგალითი 2022 წლიდან: კლიმატის ცვლილებამ [60-ჯერ გაზარდა](#) ისეთი ექსტრემალური სიციხის ალბათობა, როგორც დეკემბერში სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ნაწილში დაფიქსირდა; [ოთხჯერ გაიზარდა ზაფხულის გვალვის ალბათობა](#) ჩინეთსა და ევროპაში; 5-8 პროცენტით გაიზარდა აპრილში [წვიმის ნალექიანობა](#) სამხრეთ აფრიკაში. რაც უფრო შეიცვლება კლიმატი, მით უფრო მეტად იმოქმედებს ის ექსტრემალურ მეტეოროლოგიურ მოვლენებზე.

5 | მითი:

კლიმატის ცვლილება საქართველოს არ გამოუწვევია, რატომ გვაიძულებენ ემისიების შემცირებას და ენერგეტიკული ქსელის გარდაქმნას?

რეალობა:

საქართველო სათბური გაზების გლობალური ემისიების მხოლოდ [ძალიან მცირე ნაწილზეა პასუხისმგებელი](#). [ერთ მოსახლეზე](#) საქართველო 4.5 ტონა ნახშირორჟანგის ექვივალენტს აფრქვევს წელიწადში. შედარებისთვის, ამერიკასა და რუსეთში ეს მაჩვენებელი 18 ტონას უტოლდება, ჩინეთსა და რამდენიმე ევროკავშირის ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, ფინეთსა და ბელგიაში, 9 ტონას (თუმცა შვედეთს, 4.6 ტონით, თითქმის საქართველოს იდენტური მაჩვენებელი აქვს), აზერბაიჯანში 8 ტონას, ხოლო თურქეთში 6 ტონას. საქართველო უფრო მეტს აფრქვევს, ვიდრე სომხეთი (3 ტონა ერთ მოსახლეზე) და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა, მაგალითად ინდოეთი, რომელიც, ერთ მოსახლეზე, 2.5 ტონას აფრქვევს.

გაეროს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ფორმატებში, სახელმწიფოებს ემისიების შემცირებას არავინ აიძულებს. ყველა ქვეყანა თავად წყვეტს მის [„ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილს“](#) (NDC).

კლიმატის ცვლილება სუფთა ენერჯიაზე გადასვლის ერთადერთი მიზეზი არ არის. სუფთა ენერჯიის სხვა უპირატესობები ენერჯიის უფრო დაბალი და უფრო სტაბილური ფასი, ნაკლები ჰაერის დაბინძურება და წიაღისეული საწვავის იმპორტსა და აგრესიულ თუ არასტაბილურ ნავთობმწარმოებელ ქვეყნებზე შემცირებული დამოკიდებულებაა. ამ თანმდევი უპირატესობების გამო, ბევრმა ქვეყანამ მიზნად დაისახა [წულოვანი ემისიების](#) მიღწევა (მაგალითად ევროკავშირმა და ამერიკამ 2050 წლამდე, ჩინეთმა 2060 წლამდე, ხოლო ინდოეთმა 2070 წლამდე) და ამისთვის ისინი დიდ ინვესტიციას დებენ სუფთა ენერგეტიკაში. მაგალითად, ჩინეთში [გასულ წელს განახლებადი ენერჯიის წყაროების დამონტაჟება](#) 25 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ელექტრო ავტომობილების გაყიდვები გაორმაგდა და 6 მილიონ ერთეულს მიაღწია.

განახლებადი ენერჯია ძალიან ძვირია

რეალობა:

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემა უჩვეულოა იმით, რომ ის ამდენ ჰიდროენერჯიას შეიცავს (წარმოების 75 პროცენტი ჰიდროენერგეტიკაზე მოდის). ჰიდროენერგეტიკის წილით მთლიან წარმოებაში [მხოლოდ 16 ქვეყანა მსოფლიოში](#), და მხოლოდ ორი ევროპაში (ნორვეგია და ალბანეთი), აღემატება საქართველოს. ეს განასხვავებს მსჯელობას „განახლებად ენერჯიებზე გადასვლის“ შესახებ საქართველოში. გლობალურად, წამყვანი განახლებადი წყაროები მზისა და ქარის ენერჯიაა, რომლებიც დღეს მსოფლიოს ელექტროენერჯიის 10 პროცენტს აწარმოებენ. ქვეყნების უმრავლესობაში გარდაქმნა ქვანახშირსა და გაზის სადგურებიდან ქარისა და მზის სადგურებზე გადასვლას ნიშნავს.

ჰიდროენერჯიის ფასი მეტ-ნაკლებად უცვლელია, ხოლო [ქარის ენერჯიის ფასი](#) ბოლო 10 წლის მანძილზე დაახლოებით განახევრდა, ხოლო მზის ენერჯიის ფასი 85 პროცენტით დაეცა. ეს ნიშნავს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში [ენერჯიის ყველაზე იაფი წყარო მზე და ქარია](#). ზოგიერთ ქვეყანას, რომელიც მზისა და ქარის ენერჯიას ჭარბად აწარმოებს, ენერჯიის შენახვის ტექნოლოგიებში ინვესტირება, და მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსების სხვა გზების გამონახვა მოუწევს, რადგან მზისა და ქარის სადგურები ენერჯიას ყოველთვის არ გამოიმუშავებენ. თუმცა ენერჯიის შენახვის ფასიც სწრაფად მცირდება (85 პროცენტით ბოლო ათწლეულის მანძილზე).

რადგან ქარის ტურბინებს, მზის პანელებს და ბატარეებს მასობრივად აწარმოებენ (რაც არ ხდება ბირთვული რეაქტორების ან ჰიდროელექტროსადგურების შემთხვევაში) და ისინი ღია ბაზარზე იყიდება, სავარაუდოა, რომ მათი ფასი სწრაფ შემცირებას განაგრძობს.

